№ 75 აპრილის 11, ხუთშაბათი. 1866—1885 აპრილის 11, ხუთშაბათი. № 75.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

„დროების“ ფასი აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე 7 მ. და 50 კ; სოფლის მასწავლებელთათვის 5 მან. და 50 კ.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

## შინაური ქრონიკა

აპრილის 6-ს შემდგარს კრებაზე სამეურნეო საზოგადოებისა, სხვათა შორის, გამოცხადებულ იქმნა, რომ იმ 3000 მანათის მაგივრად, რომელიც საზოგადოებამ სთხოვა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აბრეშუმის ჭიის გაშენების საქმისათვის მთავრობამ გამოგზავნა მხოლოდ 1,000 მანათი. გამოთხოვილის 3000 ათასი მანათით საზოგადოებას განზრახვა ჰქონდა შესდგომოდა ბეჯითად ჭიის გაშენების საქმეს ნუხისა და ორდუბათის მიდამოში და ამ 1000 მანათით კი საზოგადოებამ გადასწყვიტა, რომ მხოლოდ თბილისში დაიწყოს ეს საქმე. შემდეგ გაირჩა ორი მოხსენება: პირველი ბ-ნი საკაკინისა—კავკასიაში ჩინურის ჯინჭრის გაშენების შესახებ და მეორე შიმანოვსკისა—ბამბის მოყვანაზე. ბ-ნი საკაკინის მოხსენებამ დიდი ბაასი გამოიწვია წევრებ შორის. ჩინური ჯინჭარი თუმცა ახალ რამეს არ წარმოადგენს კავკასიისათვის, რადგანაც მას დიდის ხნობით ხმარობენ ქუთაისის გუბერნიაში, მაგრამ ამ უკანასკნელ დროში მას დიდი მნიშვნელობა მიეცა; საკაკინის სიტყვით, მისი გაშენება დიდს სარგებლობას მოუტანს კავკასიის მეოჯახეთ; ამ მცენარეს არამც თუ არ ეშინია მავნებელის მწერებისა, არამედ ფილოქსერას თვითონ აწყობს. გერმანიის ელჩმა, რომელიც დაესწრო ამ სხდომაზედ, აღუთქვა საზოგადოებას რომ იმეცადინებს კავკასიის ჯინჭრის წარმოებას გასავალი მისცეს გერმანიაში.

ამავე სხდომაზედ იყო ბაასი თბილისის ელიმეტინსკიური ბაღზე. ბაღის მდგომარეობის ხელამხედველად ხმის უმეტესობით აირჩიეს ცნობილი თბილისელი მებაღე შერერი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ბაღის წესიერს გაშენებას. ამის შემდეგ ი. ს. ხათისოვმა კრებას წარმოუდგინა გასასინჯავად «რუსული შამპანიის» ღვინო, რომელიც თავ. გალიცინს ყირიმის ღვინოებით შეუმზადებია და გასასინჯავად გამოუგზავნია. ღვინო მოიწონეს.

დასასრულ ბ-ნმა შიმანოვსკიმ წაიკითხა თავის მოხსენება ბამბის გაშენების შესახებ. ამას წინად საზოგადოებამ 100 ფუთი ამერიკული ბამბის თესლი დაურიგა სხვა-და-სხვა მეოჯახეთ, რომელთაც უეჭველია, არ იციან ამ მცენარის მოვლა. ამის გამო საზოგადოებამ დაადგინა საჩქაროდ დაბეჭდოს მოკლე ცნობანი ბამბის გამშენებელთათვის სახელმძღვანელოდ და დაურიგოს ზემოხსენებულ მეოჯახეებს. ვრცელი მოხსენება-კი ბ-ნი შიმანოვსკისა დაიბეჭდოს საზოგადოების «შრომაში».

═ კურსმა კიდევ ძალზე დაიწია: ასი მანათი ღირს 247 1/8 — 248 1/4 ფრანკი, ნახევარ იმპერიალი 8 მანათი და 36 კაპ.

═ მმართებლობის წრეებში ამ ჟამად ირჩევა წინადადება იმის შესახებ, რომ გაუქმდეს კავკასიაში ერობის გუშაგთა დასი, რომელიც გარდა კონვოისა და პოსტების სამსახურისა,ასრულებდა ზოგიერთა პოლიციურს მოვალეობათ და გაზევრდეს რიცხვი პოლიციურის ჩინოვნიკებისა დაქირავებული ურიადნიკებით.

═ სოფ. ნუკრიანიდამ (სიღნაღის ახლო) გვწერენ შემდეგს სამწუხარო ამბავს: აპრილის 6-ს ერთს ნუკრიანში მცხოვრებს დედა-კაცს გაეხურებინა თავის მეზობლისავე თონე პურის გამოსაცხობად, და პური რომ დაეკრა შიგ წასულიყო. თონის პატრონს შინ არავინ არა ჰყოლოდა, თავის შვილის შვილის, სამის წლის ქალისა და თავის დედამთილის მეტი. დედა დღეობას ყოფილიყო წასული, რომელსაც ხალხი ქაშუეთობას უწოდებს; დედას ყმაწვილი თავის დედამთილთან დაეტოვებინა და ისე წასულიყო. ყმაწვილი ჯერ თავის ბებიას ხელში სჭეროდა, წაეყვანა თონესთან, ერთი პატარა ფიცარი დაედვა, ზედ დაესვა და თითონ ძინისკენ შებრუნებულიყო, პურის ამოსაყრელად რომ გამოელენ, ყმაწვილსაც ყურს უგდებენო, მაგრამ ცოტა ხანს დაეგვიანათ, და რომ გამოსულიყვნენ პურის ამოსაყრელად, ყმაწვილი თონეში დახრუკული ენახათ. ამ სოფლის ხალხის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა.

═ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ დაუნიშნა 200 მან. ჯილდოდ იმ პირს, რომელიც შეადგენს საქონლის მოვლაზე საუკეთესო სახელმძღვანელოს. სახელმძღვანელო ყველასათვის გასაგები ენით და შემდეგი პროგრამით უნდა იყოს დაწერილი:

1) საზოგადო ცნობა სნეული და ჯან-მრთელი საქონლის მოვლისა და მათის ავადმყოფობის მიზეზებისა.

2) რამდენი და რა თვისების საგები უნდა ქონდეს საქონელს ზამთარში და ზაფხულში; მავნებელი შედეგნი ცუდის საგებისა და ურიგოდ საჭმელის მიცემისა.

3) წყლის სმევა საქონლისა ზამთარში და ზაფხულში და მავნებელნი შედეგნი ურიგოდ წყლის მიცემისაგან გამოწვეულნი.

4) დაბინავება საქონლისა ზამთარში და ზაფხულში.

5) საქონლის სამუშაოდ გაყვანა და შედეგი მუშაობისა საქონლის ცუდად ხმარებისა.

6) საქონლის ჭირი; ციმბირის სენი; სისხლ-დამბლობა, ტანსტა მსხვილი საქონლისა და ცხვრის ყვავილი; ფილტვების ანთება, ცოფიანობა, ცხვრის ჭიით ავადმყოფობა, ტყავის ავადმყოფობა—ქავილი, ქეცი, მუნი და სხვ.

## სამეგრელოს გულში *)

შემდეგ მეგობრულის და ტკბილის მისალმებისა, რამაც კნეინას ცრემლები მოჰგვარა, მან უამბო კოლიუბიაკინს საქმის გარემოება. მისი ლაპარაკიდამ ცხადად სჩანდა, რომ ყოველსავე დანაშაულს გრიგოლს აბრალებდა.—„მე ჩავაბარე მას სამეგრელო დამშვიდებული და მან თავის მოლალატურის მმართველობით ააჯანყა იგი. დაუახლოვდა ბატონიშვილებს, ჩვენის სახლის მტრებს, არაფრად აგდებდა ჩემს ერთგულს კაცებს, რომელთაც თავდაპირველადვე უნდოდათ ხალხის დამშვიდება, უფრო გაახელა ხალხი და ეხლა, როდესაც მე პეტერბურგიდამ დავბრუნდი, იგი იდუმალის ქცევით ხელს მიცრის ხალხის დამშვიდებაში. საქმე იქამდის მივიდა, რომ თავი ჩემი ნათესავი ქალის სახლში მეფარე, თუმცა არც აქა ვარ განსაცდელს მოშორებული; აქედამ რამდენიმე ვერსის სიშორეზედ იმყოფება აჯანყებულთა გროვა და თავზედ დასხმას მემუქრება; ამ აჯანყებულმა ხალხმა რაც თავის ბატონებს უყო, იმას მე მიზამს. სანამ სამეგრელოს დამშვიდებას შევუდგებოდეთ, საჭიროა აქედამ გრიგოლის გასტუმრება.“

კნეინას სიტყვებში იმდენი სიმართლე იყო, რომ კოლიუბიაკინმა, რომელიც კარგად იცნობდა ორივე ძმებს, გრიგოლს და კონსტანტინეს და მათს მოურიგებელს ხასიათს, კნეინასაგან გამოთქმული ხალხის დასამშვიდებელი საშუალება სამართლიანად იცნო და უთხრა გრიგოლს, როდესაც მას უნდოდა პასუხი მიეცა კნეინასათვის:

— იცით, თავადო,—უთხრა მან:— თქვენ ისე არ გელაპარაკებით, როგორც კერძო პირი. ტყუილ უბრალოდ არას გეტყვით და გთხოვთ თქვენ და თქვენც თავადო,—აქ იგი კონსტანტინეს მიუბრუნდა,—ეხლავე წაბძანდეთ თბილისში მთავარ-მმართებლის განკარგულებისამებრ... იმედი მაქვს თქვენ ნება-ყოფლობით აასრულებთ ჩემს თხოვნას და იძულებულს არა მყოფთ ძალა დაგატანოთ.

კოლიუბიაკინს ისიც კი არ აბრკოლებდა, რომ გრიგოლი ჩინით მაზედ მაღლა იდგა, ე. ი. გენერალ-ლეიტენანტი იყო.

ამის შემდეგ განსვენებულის მთავრის ძმებმა თავი დაუკრეს, წავიდნენ და რამდენიმე საათის შემდეგ თბილისისკენ გაემგზავრნენ.

კნეინასთან საუზმის გათავების შემდეგ, კოლიუბიაკინმა ცხენი მოითხოვა და უბრძანა წაეყვანათ იგი აჯანყებულებისკენ.

როდესაც თავის ყაზახებით სოფ. შხეფიდამ ხუთი ვერსი გაიარა, გენერალმა შენიშნა შორს, გზაზედ, რამდენიმე ცხენოსანი, რომელთაც რამწამს დაინახეს იგი, მიაბრუნეს ცხენები და გაიქცნენ. მხლებელთ მოახსენეს, რომ ისინი აჯანყებულების კაცები იყვნენო; მისი ბრძანებით ყაზახები დაედევნენ გაქცეულთ, მაგრამ ამაოდ; ცხენოსნები, რომელთაც ტყის ყოველივე ბილიკი იცოდენ, სწრაფად გაჰქრნენ, თითქოს დედა-მიწაში ჩაძვრენო. მერვე ვერსი რომ გაიარა, გენერალი გორას შეუდგა, რომელზედაც ზუგდიდის გზა მიდიოდა: აქ მინდორზედ გლეხების გროვა დაინახა, ათიათასამდის კაცს მოეყარათ თავი; აჯანყებულთა კოხები, ურმები, ცხენები, ძროხები, ცხვრები, ქალები და კაცები ერთი-ერთმანეთში იყვნენ არეულნი. აჯანყებულთ რაღაც ჩოჩქოლი შეუდგათ; სჩანდა რომ წინად გაქცეულ ცხენოსნებს შეეტყობინებინათ

*) იხილე „დროება“ № 74.

საუკეთესოდ ცნობილი თხზულებას დაბეჭდავს საზოგადოების „შრომაში“ და ავტორი ზემოხსენებულ 200 მან. გარდა ყოველ ფურცელში 33 მან. საჩუქარს მიიღებს. („კავკაზი“).

= „Новое Время“-ს გაუგონია, რომ მაისში პეტერბურგში მოვა ინგლისელი ენთომოლოგი ბრაუნი, რომელსაც განზრახვა აქვს კავკასიაში იმოგზაუროს და ენთომოლოგიური საგნები (მწერების ცხოვრება) გამოიკვლიოს.

= „Кавказъ“-ს ატყობინებენ, რომ თბილისის ფოსტის სტანციაზედ ორი ცხენი მოკვდარა ციმბირის ჭირით. სწრაფად მოიწვიეს საგუბერნიო საქონლის ექიმი ბ-ნი ბოლოტოვი, რომელმაც აუხსნა, თუ როგორ უნდა მოსპონ ეს ჭირი. ამ დღეებში რიყეზედაც, მეფაიტონეებს, ამავე ჭირით ორი თუ სამი ცხენი მოუკვდომიათ. კარგი იქნებაო, ამბობს ხსენებული გაზეთი, რომ ფოსტის სამმართველომ ახლავე მიიღოს სანიტარული ზომები ამ ჭირის გავრცელების წინააღმდეგ და ყურადღება მიაქციონ, რომ ამ ჭირით დახოცილი საქონლის ტყავები უსათუოდ დაიწვას.

## დავა შუა აზიაში

რუს-ავღანის შეტაკებაზე მისულ ამბავს უარესად გაუმძაფრებია ინგლისელების სამხედრო ლტოლვილება. პროვინციის ქალაქებიდამ რედაქციები იღებენ აუარებელს კორესპონდენციებს; კორესპონდენტები იწერებიან საზოგადო პატრიოტულს გრძნობაზედ, რომელიც სუფევსო ინგლისის საზოგადოების ყოველს წრეში. ომისათვის ისეთი მომზადებული, როგორც ამ ჟამადაა, არასოდეს არ ყოფილა ინგლისიო. სამხედრო პირნი, რომელთაც ზედ-მიწევნით აქვთ გაცნობილი ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთი კიდე და მოსამზღვრე პროვინციები, არწმუნებენ მმართებლობას, რომ თუ კი მას ჰსურს, რომ ინგლისის „სახელი“ არ დაეცეს ინდოეთში, არ შეფერხდეს ინგლისის გავლენა ამ ქვეყანაზედ — აუცილებელი საჭიროა — საბოლოოდ მიეცეს დასასრული რუსეთის წინ-წასვლას საშუალო აზიისაკენ; ეს მით უფრო ადვილად შესაძლოა, რომ ინდოეთი საუცხოოდ შეიარაღებულია ამ ჟამად და ინგლისისადმი ერთგულებაც აღბეჭდილია ამ ქვეყანაში.

საზოგადოდ ყველგან გაცხარებული მზადებაა ინგლისში. სამხედრო ქარხნებში დღე-დღეზედ მუშების რიცხვს უმატებენ. სამხედრო მთავრობამ დაათვალიერა ჯარები, რომელნიც საუცხოოდ დარაზმულნი აღმოჩნდენ. — ომის აუცილებლობას კიდე, სხვათა შორის, იმ გარემოებით ხსნიან, რომ რუსის მოვაჭრენი სცდილობენ, რაც შეიძლება მალე გაასაღონ თავიანთი პური და ამისათვის ქირავობენ აუარებელს ხომალდებს.

ირლანდიის ქალაქ კინგსტოუნიდამ სწერენ ერთს ფრანცუზულს გაზეთში, რომ ორი ჯავშნიანი გემი, რომელნიც წმ. გიორგის არხში მიმოვლიდენ, მოულოდნელად გაემართნენ პორტს მუტისაკენ, საიდამაც უნდა წაიყვანონ ამფეთქი გემები და წავიდენ ბალტიის ზღვაშიო. მეორე დღესვე აქედამ გავიდა კიდევ ოთხი ჯავშნიანი გემი, მაგრამ არ იციან, საით გაემართნენ ისინი და საზოგადოდ საიდუმლოდ ინახვენ ამ ამბავს. გემების გასვლამ დიდი აღელვება დაატყო აქაურს საზოგადოებას, მით უფრო, რომ ადრე ნაბრძანები ჰქონდათ ამ გემებს აქ ყოფილიყვნენ, სანამ უელსის პრინცი ირლანდიას არ დასტოვებდაო.

ბერლინელი კორესპონდენტი «Morning Post»-ისა იწერება: გერმანიის იმპერატორს მოლაპარაკება ჰქონდა თ-დს ბისმარკთან, რის შემდეგაც გაგზავნილ იქმნა ტელეგრამები ლონდონში და პეტერბურგში, რომ ორთავე მოდავეთ შუამავლად მოიწვიონ ნეიტრალური სახელმწიფო. ამ გვარივე ბაასია გამართული ამ ჟამად ვენასა და რომთან. იმპერატორს არა ჰსურს ომი ასტყდეს რუსეთისა და ინგლისის შორის.

ლონდონის მართებლობისა და ლორდ დეფერინის შორის გაცხარებული მიწერ-მოწერაა ტელეგრამებით გამართული იმის შესახებ, თუ ლორდ დეფერინმა რა ვალდებულება მიიღო თავის თავზედ ავღანის ემირისაგან, რადგან აწინდელნი მოქმედებანი დასახლოებით უნდა შეესაბამებოდენ ავღანის ემირის წადილს.

რომიდამ გამოსული ტელეგრამა იუწყება, რომ ჭეშმარიტებას მოკლებულია ხმები, ვითომც იტალიის მართებლობას უარი განეცხადოს თავისის ჯარების ჩაყენებაზედ ეგვიპტეში ინგლისის ჯარების ნაცვლად. ბრიტანიის მთავრობას არც-კი უფიქრია ასეთის თხოვნით მიემართაო მხოლოდ იტალიისათვისაო. მართალია ინგლისისა და იტალიის შორის დღესაც არის მოლაპარაკება იმის თაობაზედ, რომ თუ ინგლისს დასჭირდა თავისის ჯარების გადაყვანა ეგვიპტიდამ ავღანში, მაშინ იტალია ოსმალეთთან ერთად ეცადოს მშვიდობიანობის დაცვისათვის ეგვიპტეშიო. შედეგი ამ მოლაპარაკებათა საიდუმლოდ რჩება დღესაცაო.

თუმცა გუშინ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ გერმანიას არა ჰსურს რუს-ინგლისის შორის შუამავლად ჩადგესო და ბერლინშიც ასე ჰფიქრობენ, მაგრამ თუ ერთ-ერთი მოდავე მხარეთაგანი მიმართავს ამ სახელმწიფოს, სთხოვს მას შუამავლობას — თ-დი ბისმარკი იკისრებს ამ, თუმცა, მძიმე საქმეს, იმ პირობით-კი, რომ ორთავე მოდავეთ აღსნან თავიდამვე ის საფუძველი რომელზედაც უნდა იქმნეს დამყარებული ეს შუამავლობა.

ბერლინის წარჩინებულს წრეებში ამბობენ, რომ ოსმალეთის მთავრობამ ამ რამდენიმე კვირის წინად [illegible]-ნობა აქაურს მმართებლობას ინგლისის შუამდგომლობაზე, რომ ბოსფორის კარები გაღებულ იქმნეს ინგლისის ხომალდებისთვისაო, მაგრამ სახელმწიფონი, რომელთაც ხელ-მოწერილი აქვთ პარიჟის ტრაქტატზე, გერმანიასთან ერთად, ამ საგანზე სასტიკს ნეიტრალიტეტს მიჰყვებიანო. უმაღლესს მმართებლობის წრეებში მცირე იმედი-ღაა მშვიდობიანობის დაცვისაო.

ლორდ გრენვილს მიუღია მეორე დეპეშა გირსისაგან, რომელშიაც რუსის გარეშე საქმეთა მინისტრს უკან მიაქვს თავისი მოთხოვნილება, რომ რუსის საზღვარმა პარაპამიზის მთებამდე დაიწიოს და სთანხმდება ლესარისაგან გაყვანილის საზღვრის დაცვაზედ. ლორდ გრენვილს სიტყვიერად უპასუხნია ლონდონელ რუსის ელჩისათვის, რომ საზღვრის გაყვანაზე სიტყვაც არ ითქმის იმ დრომდე, სანამ რუსის ჯარი არ დასტოვებს იმ ადგილებს, რომელნიც ავღანელების დამარცხების შემდეგ დაიჭირა რუსეთმა. ამ გვარისავე აზრის მიწერილობა გაუგზავნა პეტერბურგში ინგლისის ელჩს თორნტონს, რომელსაც მინდობილი აქვს გადასცეს მინისტრს გირსს, რომ ინგლისის მმართებლობა ვერ დაკმაყოფილდება ესეთის უბრალო მოხსენებებით და ითხოვს — მიღებულ იქმნეს ისეთი სამხედრო ზომანი, რომელნიც მომავალში თავიდამ აიცდენდენ რუს-ავღანელთა შეტაკებას.

სტამბოლიდამ მისულა ამბავი ვენაში, რომ ხონთქარმა გაგზავნა სპარსეთის ელჩი თეირანშიო. ელჩს მინდობილი აქვსო მოელაპარაკოს სპარსეთის მმართებლობას, რომ იგი ოსმალეთს დაუკავშირდეს თუ, ვინიცობაა, რუს-ინგლისის შეტაკება მოხდა. პეტერბურგიდამ იწერებიანო, რომ

---

მათთვის ყაზახების მისვლა, რისათვისაც მათ ერთ ადგილას დაიწყეს თავის მოყრა. როდესაც გენერალის და აჯანყებულების შორის ნახევარ ვერსი ალარ დარჩა, აჯანყებულები წამოვიდენ წინ მათ მოუძღოდა მათი მოთავე მჭედელი მიქავა.

გენერალმა შემოჰკრა ცხენს დეზი და მიუახლოვდა ხალხის გროვას. ხალხი შესდგა; მან ცხენი შეაყენა და მაღალის ხმით დაუყვირა:

— ქუდები მოიხადეთ, დაიჩოქეთ!

როდესაც ერისთავმა ეს სიტყვები გადაუთარგმნა, ხალხმა მაშინვე მოიხადა ქუდი და დაიჩოქა. ყაზახები გენერალის ბრძანებისამებრ ხალხს გარშემო შემოერტყნენ.

— თქვენი მთავრის მეუღლემ მომიწვია მე, — დაიწყო კოლიუბიაკინმა: — რომ დაგამშვიდოთ. ნახევარ წელიწადია, რაც თქვენს მბრძანებელს ალარაფერს უგონებთ. არავითარმა მთავრის მეუღლის დარიგებამ თქვენ არ დაგამშვიდნათ. თქვენს ბატონებს თავი დაანებეთ, არავითარ გადასახადს აღარ აძლევთ, პირ-იქით კიდეცა სცემთ. ნუ თუ ამისთანა უწესოებას ბოლო აღარ მოეღება? მე თქვენ დასამშვიდებლად მოვსულვარ და ჩემს სურვილს კიდეც ავასრულებ, თუ გინდ რომ სრულიად თქვენი გაწყვეტა მომიხდეს.

უკანასკნელმა სიტყვებმა ხალხში ჩოჩქოლი ასტეხა. გენერალს ეგონა რომ ეს ჩოჩქოლი ჩემი სიტყვების გამო მოხდაო და ხმა მაღლა დაიყვირა: — გაჩუმდით! თუ ხმა ამოიღიათ, ეხლავე ვუბრძანებ გესროლონ.

კვალად სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს ხალხიდამ ერთი გაჭაღარავებული მოხუცი წამოდგა, მივიდა გენერალთან, დაიჩოქა მის წინაშე და სთხოვა ლაპარაკის ნება მიეცა.

— გვესროლე, გენერალო, ამას ისე გთხოვთ, როგორც მოწყალებას. ჩვენ გვირჩევნია დავიხოცოთ, სანამ ამისთანა მდგომარეობაში ვიყოთ.

ხალხში ხმაურობა გაისმა: — მართალს ამბობს, მართალს!

მოხუცებულმა განაგრძო.

— ეხლა, როდესაც თქვენ აქა ხართ, ჩვენ თქვენის ბრძანებით კი არა, ჩვენის ნებით ვიდრეკავთ მუხლს თქვენს წინაშე და გთხოვთ გვესროლოთ! თუ რომ ღმერთს ჩვენთვის პირი მოურიდებია, უმჯობესია ყველანი ერთბაშად დავიხოცოთ, სანამ ნელ-ნელა ვიტანჯოთ; მაგრამ სანამ თოფს გვესროდეთ, გთხოვთ მოისმინოთ ჩვენი საჩივარი. მოხუცი დაემხო მიწაზედ და დანარჩენთაც მას მიჰბაძეს.

— კარგი მოვისმენ, მაგრამ გიმეორებთ, რომ თქვენს მმართველს უნდა დაემორჩილოთ.

ესა სთქვა გენერალმა და წავიდა ერთს დაჩრდილულს ხის ძირში, სადაც ყაზახებმა ჩამოსაჯდომი გაუმართეს და იქ დაუძახა უკმაყოფილო ხალხს.

— აბა, მითხარით თქვენი საჩივარი.

რამდენმამე კაცმა ერთად დაიწყეს ლაპარაკი.

— წყნარად! - დაუყვირა გენერალმა: — ერთი ამოირჩიეთ და დე მან ილაპარაკოს.

— მიქავამ, მიქავამ ილაპარაკოს... მოისმა ხმაურობა: — მიქავა, შენ ილაპარაკე...

კოლიუბიაკინმა დაუძახა მიქავას და როდესაც იგი მოწიწებით მივიდა მის წინაშე და დაიჩოქა, გენერალმა ანიშნა ამდგარიყო და ისე ელაპარაკა. მიქავამ ლაპარაკი ჯერ მოკრძალებით დაიწყო, მაგრამ თან-და-თან გამხნევდა.

— ამ ერთის წლის წინად, ბატონო, როდესაც ჩვენს ქვეყანას ოსმალები შემოესივნენ, მტერმა ყოველისფერი გაანადგურა, რაც კი მოხვდა. შემწეობას არსაიდამ ვხედავდით, რუსის ჯარი აქედამ გავიდა და ჩვენმა ბატონებმა დახმარების მაგივრად ბავშვები — ქალი და ვაჟი დაგვტაცეს და ოსმალებს მიჰყიდეს. წავიდენ ოსმალები და ოსმალებად ჩვენი ბატონები გაგვიხდენ. იმაზედ ნურაფერს ვიტყვით, რომ ყოველივე ჩვენი ნაშრომი მათ ეკუთვნით; გლეხებს მათის ფიქრით არაფერი არ უნდა ჰქონდეთ. ომის

რუსის მთავრობას საკმაოდ მიაჩნია მინისტრის ბირსის განმარტება.

ავღანის ემირის განკარგულებაში ითვლებაო ამ ჟამად, როგორც იწერება «Daily News»-ი 61,500 ჯარის კაცი. ამ რიცხვში 45,400 კაცი ქვეითი ჯარს შეადგენს და 16,100 ცხენოსანს, 222 ზარბაზნით. მთელი სამხედრო ძალა ავღანისა განიყოფება ოთხ ნაწილად, რომლისგან უძლიერესი, 26,000 კაცი, 106 იარაღით, სდგას ქაბულში და ყანდაარში. ჰერატში დაბანაკებულია 7,000 კაცი 38 ზარბაზნით; თახთიფულში — 12,000 კ., 42 ზარბ.; მაიმენეში — 3,000 კ.; ბალხაში — 1,500 კ., ჯალალაბადში — 1,800 კ., 6 ზარბ. და ჰაზანაში 1,600 კ., 6 ზარბ. აგრეთვე. საზოგადოდ სტატისტიური ცნობებიდამ სჩანს, რომ შირ-ალის შემდეგ ავღანის ჯარს შეემატა 17,000 მეომარი.

თითქმის ამდენივე ხმელეთის ჯარი ჰყავსო დიდს ბრიტანიასაც.

## წერილი რედაქტორთან!

—

გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთს ,,დროებაში'' შემდეგს ჩემს შენიშვნას:

თქვენის გაზეთის სამოცდა-მეცხრე ნომერში, აპრილის სამიდამ ამა მდგომარე წლისა იყო დაბეჭდილი ახალ-სენაკიდამ გამოგზავნილი მცირე შენიშვნა უსახელო ავტორისა ამაზედ, ვითომც ახალ-სენაკელები ტყუილად არა სჯიროდენ ძველი ხაზინადარის გადაყვანას ქ. ქუთაისში, რადგანაც მისი მოადგილე ახალი ხაზინადარი არ შედის სამსახურში თერთმეტ საათამდის, დადის თავის თანაშემწით ორი-სამი დღის განმავლობაში ქ. ქუთაისში, მთხოვნელები კი ვითომც ეყარონ გარედ და ელოდებოდენ, — თუ როდის გაიღება ,,ცის კარი''.

ზემოხსენებულის შენიშნვის დასარღვევად მე, როგორც უფროსი ადმინისტრაციისა დაბა ახალ სენაკში და როგორც წევრი, შემამოწმებელი სენაკის სამაზრო ხაზინისა, ვალდებულად ვხდი ჩემს თავს, ჭეშმარიტების აღსადგენად, განვაცხადო, რომ ხაზინა ყოველთვის საქმის დღეებში, მარტის შვიდიდამ, დროიდამ ახალი ხაზინადარის შესვლისა სამსახურში დ. ახალ სენაკში, ვიდრე აპრილის შვიდამდის როგორც ვიცი მე დარწმუნებით, ყოველთვის გაღებული იყო და ხაზინადარი შედიოდა და კიდევაც შედის ხაზინაში ცხრა საათზედ, ხანდისხან უფრო ადრე და არა თერთმეტ საათზედ, როგორც იყო ნათქვამი შენიშვნაში. მაშასადამე ხაზინადარს და მისს თანაშემწეს ერთსა და იმავე დროს არ შეეძლოთ თავიანთი პირ-და-პირი მოვალეობის აღსრულება და ორი-სამი დღე დაყოფა ქუთაისში. აქედამ ცხადადა სჩანს ავტორის სიცრუე შენიშნვაში. შემდეგ შენიშნვაში არის ნათქვამი, ვითომც მთხოვნელები ეყარონ გარედ და ელოდებოდენ ,,ცის კარის გაღებას''. ამაზედ ვიტყვი იმას, რომ სამაზრო ხაზინა გახლავს სამაზრო სამმართველოს რამოდენიმე საჟენის სივრცეზე, რისთვისაც ძნელი წარმოსადგენია, რომ მომდურავმა მთხოვნელებმა არ ამოიღეს ხმა ამისთანა ურიგო და უკანონო ქცევაზე ახალი ხაზინადარისა და იმათმა დრტვინვამ არ მოაღწია ჩემამდის და ჩემდამო რწმუნებულის სამმართველომდის. რომ ეს ასე ყოფილიყო, მე, როგორც წევრი შემამოწმებელი ხაზინისა, მივიღებდი ჯეროვან ზომებს მთხოვნელების უსიამოვნობის მოსასპობლად; მაგრამ არავითარი მგზავსი აღნიშნულ შენიშნვაში ცნობებისა არ ყოფილა და მე აქამომდის ქების მეტი არაფერი გამიგონია ახალ ხაზინადარზე და მისს მოქმედებაზედ. მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ შენიშვნა, რომელიც იყო აღნიშნულ ნომერში, უნდა იყოს დაწერილი იმისთანა პირისაგან, (?) რომელსაც აქვს სახეში თავისი და არა საზოგადო სარგებლობა, და ჰკიცხავს იმისთანა კაცს, რომელსაც სრულიად არ დაუმსახურებია ამისთანა შეუსაბამო ლანძღვა გინება.

დაგშთები თქვენი პატივისმცემელი:
გ. ზუბურიშვილი.

1885 წელსა.
აპრილის 6-ს

## ტელეგრამები

,,ჩრდილოეთის სააგენტოსა''.

აპრილის 9-ს.

ლონდონი. სამინისტროს გაზეთი ,,Daily News''-ი ამბობს, რომ ტყუილია, ვითომც რუსეთს მოეთხოვოს ინგლისისაგან დათმობა, კიდევ სხვა მიწებისაცა. რუსეთი მხოლოდ იმასვე თხოულობს, რასაც აქამდე თხოულობდაო. მაშასადამე დავის საფუძველი იგივე რჩება, რაც წინად იყოვო.

გადასწყდა, რომ სუდანიდამ გამოიყვანონ გრეჰემის ლაშქარი. ეს განკარგულება მოხდა ვითომც იმ მიზეზის გამო, რომ ეშინიანთ, ზაფხულის ცხელმა ჰაერმა მასზედ ცუდად არ იმოქმედოსო.

საზოგადოებათა პალატაში ადმირალტეისტვოს ლორდმა გიმ სთქვა, რომ როცა სრულიად დამზადდებიან ყველა ის გემები, რომელთაც ახლა ვაშენებთ, მაშინ ბრიტანიის ფლოტი უფრო დიდი იქმნება, ვიდრე რომელიმე ორის სახემწიფოს ფლოტი ერთად შეერთებულიო. ერთის კვირის განმავლობაში შეიძლება 8000-მდე მატროსი იყოს მზადაო, ხოლო მაშველი მატროსებითურთ 20,000. ნაპირების დასაცველად შეიძლება შეიარაღდეს, გარდა კრეისერებისა და კანონერკებისა, 10 ჯავშნიანი და 8 სხვა ხომალდი.

საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა სთქვა, რომ პარასკევს მიღებული დეპეშა ლემსდენისაგან კიდევ არაფერ პასუხს არ იძლევა მმართებლობის კითხვაზედ, რა მიზეზის გამოც არ შეეძლია მმართებლობას მისცეს სრული ანგარიში ავღანის საზღვართა მდგომარეობის შესახებ. — ფიცმორისმა სთქვა, რომ მმართებლობამ ჯერ კიდევ არაფერი არ იცის, მართლა განავრცელეს რუსებმა დროებითი მმართველობა პარაპამიზისმთებამდე და გამოცხადდა თუ არა რუსების პროკლამაციები, რომელნიც ვითომ იწვევენ ავღანელებს მიემხრონ რუსეთს.

მიღებულ იქმნა ახალი დეპეშა ლემსდენისა, რომლის შინაარსს კაბინეტი ჯერ კიდევ არ აცხადებს. მინისტრთა რჩევა შეიკრიბება დღეს. ლემსდენი შტაბითურთ ჯერ ისევ ტირპულშია.

,,Standard''-ი გვაუწყებს: ლემსდენი იწერებაო, რომ გენ. კომაროვის იერიში ავღანელებისაგან არ იყო გამოწვეულიო; კომაროვი ვითომ წინამძღვრობდა 3,000 კაცს და წინ წაიწია ჯარით ვიდრე ავღანელთა სათფრებამდე არ მივიდაო.

---

შემდეგ მამა-პაპური ჩვეულებისამებრ ჩვენ ბატონებისაგან მოველოდით შემწეობას, იმედი გვქონდა, რომ ხარჯს შეგვიმცირებდენ, მაგრამ ბატონებმა ეს წმინდა ჩვეულება დიდი ხანია დაივიწყეს და ომის შემდეგ მათს მტარვალობას საზღვარი აღარა ჰქონდა. გვეჩივლა? მერე ვისთან? დედოფალი შორს იყო და მის მდივანბეგს კიდევ ბატონების მხარე ეჭირა. თვით დედოფლის მოურავები ისე სტანჯავდენ ხალხსა, რომ დედოფლის გლეხებმაც-კი უარი განაცხადეს მორჩილებაზედ, სანამ დედოფალი არ დაბრუნდებოდა. ჩვენც დედოფლის გლეხებს მივბაძეთ. გვეგონა, რომ დედოფალი მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ რაკი მან დაიგვიანა და ბატონებმა ჩვენზე ძალის ხმარება დაიწყეს, მაშინ ჩვენც ძალას მივმართეთ. გაზაფხული დადგა, მინდვრები დაუთესელი დარჩა, ბატონები არაფერს შეღავათს გვაძლევდენ და ჩვენც არ ვმორჩილდებოდით. ბოლოს ზაფხულში დედოფალი მოვიდა, და რა გამოვიდა? — იმანაც არ მიაქცია ჩვენს გაჭირვებას ყურადღება. როგორ გაბედეთ ბატონების წინააღმდეგობაო, გვითხრა მან. ჩვენი წინააღმდეგობა კიდევ ის იყო, რომ ბატონებს ნება აღარ მივეცით ჩვენის დების და ქალების დატაცებისა. შორს რომ აღარ წავიდეთ, გუშინაც წინააღმდეგად მოვექეცით ერთს თავადის-შვილს, და (დაასახელა გვარი) მან შეკრიბა თავის გვარი კაცები, დაეცა ერთი გლეხის სახლს, მოიტაცა მისი ჯვარ-დაწერილი ქალი და, როგორც ამბობენ, აფხაზეთში გაგზავნა გასასყიდათაო. ჩვენც ის თავადიშვილი ეხლა ტყვეთ გვყავს და იქამდის არ გავუშვებთ, სანამ ქალს არ დაგვიბრუნებს.

გენერალი შეშფოთდა და დაუყვირა

— ეხლავე გაანთავისუფლეთ და აქ მოიყვანეთ.

მიქავა წავიდა და მოიყვანა მაღალი, მოხდენილი ტანის ლამაზი ყმაწვილი კაცი, თავადი პ. მ. გენერალმა წყნარად უთხრა მას:

— თქვენგან მოტაცებული ქალი ეხლავე ჩემთან წარმოადგინეთ; თუ მას აფხაზეთში გაჰყიდით, ველარ მომრჩებით.

პ. მ. თავი დაუკრა და სწრაფად წავიდა.

ამ დროს დიდი გზის მოშორებით რამდენიმე ცხენოსანი გამოჩნდა. ეს იყო ადგილობრივი მდივან-ბეგი, რომელსაც თავადებიც მოსდევდენ. გენერალმა დაუძახა მათ, და ისინიც საჩქაროდ მოვიდენ.

— თქვენ ნულარას მეტყვით თქვენი საქმისას, ბატონებო. თქვენმა დედოფალმა მომიწვია აჯანყებული გლეხები დავამშვიდო და ვამშვიდებ კიდეც; მაგრამ იცოდეთ, რომ ამას იქით თქვენც სხვანაირად უნდა მოიქცეთ. მთავრობა გულ-გრილად ვერ დაუწყებს ცქერას გლეხებთან თქვენს უღმერთო ქცევას. თქვენც, ხალხნო, წადით თქვენს სახლებში და ჩვეულებისამებრ ემსახურეთ თქვენს ბატონებს. იცოდეთ, რომ კანონი დაგიფარავთ თქვენ უსამართლო ბატონებისაგან. თუ რომ ვინმე უსამართლოდ მოგექცეთ, მდივან-ბეგთან იჩივლეთ. დაიხსომეთ, რომ ყოველივე წინააღმდეგობისათვის კანონი დაგსჯით. შენც, მიქავა, ჩააგონე გლეხებს, რომ მშვიდობიანად იყვნენ.

ხალხი საჩქაროდ წავიდ-წამოვიდა.

გენერალმა კაცი გაგზავნა დედოფალთან მოეხსენებინა, რომ გლეხები დამშვიდდენ და თუ ზუგდიდში მოსვლა უნდა, ნულარაფრისა შეეშინდება; თვითონ გენერალიც ზუგდიდში წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისს მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საზებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საჰირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე ყბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; მტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; გოროხა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ჰირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი. | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| ჭვავის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 10 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | |
| მეორისა— | —1 | გ. | |

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი


კბილის ექიმი-ქალი

**ვ. ს. როზენბერგისა**

ავადმყოფებს ვიღებ ყოველ-დღე 10-დამ—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. ადრესი: ერევნის მოედანი, ნ. 3. ზუბალოვის სახლი, მებელიანი ოთახები: იმპერიალი, სადგომი მე 2 №, სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ. (3—2)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ, „დროების" რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება რვა მანათიდამ ათ მანათამდე, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს, კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი «ვეფხის-ტყაოსნის» გამომცემელი
გ. ქართველიშვილი.
(25—9)

გამოვიდა და ისყიდება
ზღაპრული პოემა გ. წერეთლისა

**ლოთ-პასი**

გამოცემა «ნობათის»-ს რედაქციისა, ვენაში და პეტერბურღში ცინკოგრაფიით დამზადებულის სურათებით. ფასი ყველგან სამი აბაზი.

ისყიდება: თბილისში—«ნობათის» ს რედაქციაში, ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ვ. შავერდოვის სააგენტოში და ქუთაისში—ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზიაში. გორში—ს. მგალობლიშვილისას. თელავში—ივ. როსტომაშვილისას. ბათუმში—მოსე ნითაძისას.

ვინც პირ-და პირ «ნობათის»-ს რედაქციიდამ ათს ეგზემპლიარს დაიბარებს, წიგნი ეღირება ათი შაური. (10—10)

საგლობიუსო  კალმები

ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მახვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისიეულს ქარვასლაში. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის", 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კონვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლეიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაქდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტკები, პირ-სახოცები, ჰოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენის" (exhibition on pen, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპ. თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—12)

### ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა.

თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94 93, (92 სამუსიკო მაღაზიაა ლანგოსა) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85, რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცოდნეებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

ჩვენი ჩაი 1 მან.—კაპ. ჩაის სხვაგან 1 მან. 20 ღირებულს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ,, ,, | 1 — 20 — | ,, | ,, | 1 — | 50 | — |
| ,, ,, | 1 — 40 — | ,, | ,, | 1 — | 80 | — |
| ,, იშვიათი | 1 — 60 — | ,, | ,, | 2 — | 20 | — |
| ,, ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | ,, | ,, | 2 — | 50 | — |
| ,, ჭუჩუჭუ | 2 — ,, — | ,, | ,, | 2 — | 80 | — |
| ,, ფენომენი | 2 — 40 — | ,, | ,, | 3 — | ,, | — |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზომო-მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრები, ვინც 6 გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: კესსენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლეიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრავოტები და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდან—აი სეკრეტი ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის უზვეულებრივო სიმრავლეს ჩაისას, კალმებისას, ქაღალდებისას, კრავოტებისას და სხვ... (100—12)